ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 30 № 206

წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 30 № 206

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

მაასის აღმოსავლეთით მაღლობებზე, კოზენვუას და ორმოიტის ტყესთან გერმანელებმა ამერიკელთა ძლიერი იერიში მოიგერიეს

რუტნის სამხრეთით, ტოპოლთან ძლიერი ბრძოლაა.

ბრენტის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლებია.

უაზის ასპარეზზე გრანდ-ვერლის პირდაპირ. გერმანელები ძლიერ იერიშებს აწარმოებენ.

მეუზის ორივე ნაპირზე ცხარე საარტილერიო ბრძოლაა.

მწუხარებით გულ-დამწვარნი მშობლები ბარბარე და ქრისტესია, მეუღლე თამრო, ძმები ვანო და სტეფანე, დები მარიამი და სონა, დისწული ნინა კიკნაძე სიძეები მიხეილ ძიძაძე და შაქრო ხოხობაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტ. დილის 10 ს. (ცხრამეტ თებერვლის ქუჩა 66). მიასვენებენ ანჩის-ხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზ. პანაშვიდი 30 ღვინობისთვეს საღ. 5 საათზე. 3—1842—2

---

27 ღვინობისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კოლეჟსკი ასესორი

ესტატე ივანეს ძე
ანანიაშვილი

რასაც მწუხარებით აცხადებენ: მეუღლე ანნა დიმიტრის ასული, შვილები: მარგალიტა, შალვა, ნინო და ეთერი, სიძე ნიკოლოზ ქველიძე, მოყვრები, ივანე და ნიკოლოზ ლუარსაბისძენი, და დისიძე კდიმიაშვილები. გამოსვენება საკუთარი სახლიდან (ჩერქეზიშვილის ქ., 47), დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე ამ თვის 31. პანაშვიდები ყოველ დღე. 1—1844—1)

კნეინა დარია ევგენის ასული და თ-დი მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ მუხრან-ბატონები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი საყვარელი ქალის

ირინეს

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ხუთშაბათს, 31 ღვინობისთვეს წმ. გიორგის ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. დასაწყისი 10 საათზედ. 1—1846—1

ღრმად დამწუხარებულნი მამა ბათლომე, დედა ედუკი, მეუღლე ნილა, დეიდა ნინო, ძმები: რაჟდენ და ლეონიდე მეუღლითურთ, დები: მაშო, თამარი, ნინა, ლიკო, ქეთო და ვერა ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაცვალებულის ექიმის

რომან ბათლომეს ძე ხუციშვილის

სულის მოსახსენებლად დაკრძალვის მეშვიდე დღეს, ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, დანიშნულია ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში წირვა და პანაშვიდი. (1—1845—1)

დამწუხარებულნი ლევანუხუ, პაჭუ და ცუნუ ჟორდანიები, გოგოლა გოთუასი და ვერა ჟორდანიასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი მეუღლის, მეორენი დედის, და უკანასკნელნი სიდედრის და ბებიას

სეო ჟორდანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალ. ლანჩხუთში, ხუთშაბათს 31 ღვინობისთვეს, წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—1843—1).

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ საბჭოს კონტორა გადმოტანილ იქნა ქუთაისიდან თბილისში და მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე სახლი № 19. ზედა სართულში. 1—1

53

ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ

საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსი, ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო-ტელეგრაფის შესასწავლათ საჭირონი არიან ახალგაზდა ჯარისკაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟენერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება თბილისის სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ, ნაშუადღევის ორი საათიდგან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა.

7—50—3 სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი **თაყაიშვილი.**

საქართველო და სომხები.

მე განგებ ვწერ ასეთ მეთაურს, რადგანაც საქართველოს ამ ჟამად საქმე აქვს არა მარტო სომხეთთან, როგორც სახელმწიფოსთან, არამედ მთელ სომხობასთან, რომელიც ამიერ კავკასიაში სცხოვრობს. მიაქციეთ ყურადღება, რას წარმოადგენს ის სახელმწიფო, რომელმაც თავის თავს „არარატის რესპუბლიკა“ უწოდა, ნოტებში კი „სომხეთად“ იწოდება.

მთელი მოსახლეობა „არარატის რესპუბლიკისა“ არ უნდა აღემატებოდეს ხუთას-ექვსასი ათასს, მაგრამ ეს არის საერთო ჯამი მცხოვრებთა რაოდენობისა, სადაც შედის სომხობასთან ერთად თათრობა და სხვა ერები. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ არა ამდენივე, არა ნაკლები სომეხი მოჰყვა ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში და არა ნაკლები სამას-ოთხასი ათასისა საქართველოს ტერიტორიაზე. აქედან სჩანს, რომ არ არსებობს ერთი სომხეთი და პირიქით არსებობს სამი სომხეთი, უკეთ, სამი ტერიტორიის სომხობა. სომხურ სახელმწიფო იდეალების განხორციელების დროს, როგორც აქტიურ და უფრო მოწყობილ ეროვნულ ძალას, ცხადია, უპირატესობა „არარატის რესპუბლიკას“ აქვს. მაგრამ აქედან შეუძლებელია იმის დასკვნა, რომ ნაკლებ როლს ითამაშებენ სომხურ სახელმწიფო და ეროვნულ იდეალების განხორციელებაში საქართველოს და ადერბეიჯანის სომხობა. პირიქით, კულტურული და მატერიალური წონა საქართველოს და ადერბეიჯანის სომხობისა გაცილებით დიდია, ვიდრე ერევნისა. ბაქო ინახავს მათ კაპიტალს, თბილისი აძლევს იდეას. ჩვენთვის დიდი და ამასთანავე არა სასურველი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, რომ სომხური დიდი პრესა დღესაც თბილისშია მოკალათებული. ფაქტიური მდგომარეობა რესპუბლიკის დედა ქალაქ თბილისისა ისეთია, რომ იგი ერთნაირის მნიშვნელობით და ჩვენთვის კი წამგებ შედეგებით ემსახურება როგორც საქართველოს, ისე ერევანს.

მიაქციეთ ყურადღება შემდეგ თვალსაჩინო მოვლენასაც: საქართველოს პარლამენტში „დაშნაკცუტიუნის“ ფრაქცია დაარსდა. რა პარტიაა მერე ეს პარტია? სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის პარტია! ის ხელებია იმ ორგანიზმის, რომლის გული ერევანში სცემს. და საქართველოს პარლამენტის წევრის დაშნაკელ ავეტისიანის სიტყვები ამიერიდან უბრალო ენის ბორძიკი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებული გულგამოტეხილობა, რომელმაც უნდა დაგვაფიქროს.

მე მგონია ასეთივე იქნება ვითარება ადერბეიჯანში, და ადერბეიჯანის „სომხეთიც“ ისევე წამოჰყოფს თავს, როგორც საქართველოს „სომხეთმა“ წამოჰყო თავი, როცა საკითხი საზღვრებს შეეხება.

სომხურ მოსახლეობის ასეთ დაქუცმაცების და დანაწილების უპირველესი შედეგი ის იქნება, რომ „არარატის რესპუბლიკას“ არასოდეს არ ექნება მტკიცე და გარკვეული პოლიტიკა, მისაღები მის მეზობელ სახელმწიფოებისთვის, ან აშკარად წინააღმდეგი იქნება მათი ინტერესებისა. რადგანაც სრული გაერთიანება სომხებისა ერთ სომხურ სახელმწიფოში წარმოუდგენელია და შესაძლოების გარეშე სდგას, სომხურმა პოლიტიკამ სულ ადვილად შეიძლება ისეთი კომპრომისი შეითვისოს, რომელსაც შედეგად მოჰყვება ამიერ-კავკასიის გაერთიანება ერთ სხეულში და მერე ამ სხეულის მიტმასნება რომელსამე დიდ სახელმწიფოზე. ეს იქნებოდა ყველაზე ნაკლები ბოროტება სომხებისთვის, რადგანაც ასეთი რამ გააერთიანებდა საქართველოს, ადერბეიჯანის და თვით სომხეთის რესპუბლიკის სომხებს. ილიუზია „დიდი სომხეთის“ შექმნისა ჯერ კიდევ არსებობს და ასეთი კომპრომისი ჯერ სომხურ ოფიციალ პოლიტიკად არ არის გამოცხადებული, მაგრამ შესაძლოა, მალე ასეთმა პოლიტიკამ დაიკავოს მათში ადგილი. ეს კი დამარცხება იქნებოდა ჩვენი სახელმწიფო იდეალისა და დამოუკიდებლობისა.

ინგლისის მოახლოვება ჯერ კიდევ ახალისებს სომხებს. ტრადიციულად მიღებულია, რომ სწორედ ინგლისი მოუტანს „დიდ არმენიას“ აღდგენას. მაგრამ ინგლისის ჯარები ჯერ კიდევ მაკბეტის დროიდან ისე დადიან, რომ ძნელია გამოცნობა ხალხია, თუ მოძრავი ტყე და ძნელია გამოცნობა იმისაც, მოუტანს ინგლისი სომხეთს ამ „აღდგენას“ თუ არა? და ჩვენთვის, ქართველებისათვის, ყველაზე სასტიკი დრო სწორედ მაშინ დადგება, როცა სომხები დარწმუნდებიან, რომ ინგლისს მათთვის არაფერი არ მოაქვს, ან ნაკლები მოაქვს. გულ-გატეხილმა და დაქუცმაცებულ ხალხმა შესაძლოა უკიდურესობას მიჰმართოს და დაადგეს ისეთ გზას, რომელიც მათთვის ნაკლები ბოროტება იქნება, ჩვენთვის კი სრული. ეს უნდა ახსოვდეს ჩვენი პოლიტიკის მეთაურთ და ამ დღისთვის უნდა იყვეს მზად ქართველი ერიც. ჩვენი დემოკრატია გავლენის დიდი ფაქტორი იყო და დღესაც არის. მაგრამ დემოკრატიამ უნდა იცოდეს, რომ შესაძლებელია დადგეს ისეთი არა-სასურველი დრო, როცა უდიდესი საკითხები მის დაუკითხავად გადასწყდება. ამ მხრივ გარეშე ძალა დიდი კონკურენტია დემოკრატიისა. იგი მოდის არა მარტო მაშინ, როცა თითონ იწვევს მას, არამედ მაშინაც, როცა თავისით მოდის! დახვედრა მათი, გაგება დაახლოვებით მაინც უახლოეს პერსპექტივებისა, აი ძნელი ტვირთი სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა.

შ. ამირეჯიბი.

საქართველოს მთავრობა და საგარეო პოლიტიკა

საკაცობრიო ომის ქარცეცხლში იშვა საქართველოს თავისუფლება. ირგვლივ ბობოქრობდა ზღვა ჩვენდამი მტრულად განწყობილი, ზოგი პირდაპირ გვეომებოდა და ჩვენი დაპყრობა სურდა, ზოგიც გვემუქრებოდა, ხოლო სხვები შიგნით ათასგვარ პროვოკაციას და სიძნელეს გვიწყობდენ, რათა ხელი შეეშალათ ახალი მთავრობის მოქმედებისათვის.

ასეთ ძნელ და მძიმე პირობებში ჩვენმა მთავრობამ საგარეო პოლიტიკაში შესძლო ნათელი მიზნები დაეყენებია და მათ განსახორციელებლად შესაფერი ზომებიც გამოენახა.

ქართველმა ერმა პირველი დღიდანვე ორი პრინციპი გამოაცხადა თავისი საგარეო პოლიტიკის საფუძვლად.

1) საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და 2) საქართველოს ნეიტრალობა.

თუ მეზობლურ განწყობილებაში ვერ ვნახეთ შესაფერი გამხნევება და დახმარება, ჩვენთვის მოსალოდნელი იყო, რომ საერთაშორისო სახელმწიფოთა ოჯახი სხვანაირად შეხედავდა ჩვენს საკითხს და ქართველ ერს თავისუფლების კარს არ დაუხშობდა.

მართლაც ერთი დიდი კულტუროსანი ევროპის სახელმწიფო—გერმანია პირველი იყო, რომელმაც არამც თუ ჰსცნო ჩვენი თავისუფლება, მხნე დარაჯადაც დაუდგა მას და გადაგვარჩინა საოცარ განსაცდელს, რომელსაც გვიმზადებდა სულმოკლე მეზობელი. ქართველი ერი ვიდრე ცოცხალია და ღირსია თავისი არსებობისა, ამ დახმარებას ვერ დაივიწყებს. გერმანიასთან ერთად მეგობრულად დაგვეხმარენ მისი მოკავშირენი ავსტრია-უნგრეთი და ბულგარეთი: საქართველოს საკითხი ამით პირდაპირ საერთაშორისო საკითხთა რიცხვში მოექცა. და ჩვენი დიპლომატიური აპარატი წესიერად და გაბედულად ამუშავდა.

ამ მუშაობის შედეგი უფრო საგრძნობელია. გასულ შაბათის საქართველოს პარლამენტის კრებაზე მთავრობის მოხსენებამ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ გამოიწვია უსაზღვრო აღტაცება ხალხის წარმომადგენელთა შორის. აღტაცება, რომელსაც დიდი სიხარულით გაიზიარებს ქართველი ერი. აღმოჩნდა, რომ შვეციის და დანიის მთავრობათ ფაქტიურად უცვნიათ უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა. კულტუროსან შვეიცარიას, რომლის საერთაშორისო როლი ყოველთვის დიდი და საგრძნობელია, სურვილი გამოუთქვამს ჩვენში თავისი წარმომადგენელი გამოგზავნეს. რასაკვირველია, ჩვენმა მთავრობამ მადლობით შეიწყნარა ეს წინადადება და თავის მხრითაც წარმომადგენელს ნიშნავს ამ სახელმწიფოში.

შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებისთვისაც ჩვენ მთავრობას ქრისტიანიაში მემარანდუმი გადაუცია და დაპირება მიუღია საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენელთაგან, რომ ისინი დადებითად იშუამდგომლებენ თავიანთ მთავრობის წინაშე საქართველოს შესახებ. ერთი სიტყვით ჩვენი მთავრობის ფხიზელი მოქმედების წყალობით თანდათან საქართველო გზას იკაფავს საერთაშორისო სარბიელზე და იმედი უნდა ვიქონიოთ ახლო მომავალში ძველი კულტუროსანი საქართველო შესძლებს საბოლოოდ ყველას მიერ ცნობილი შევიდეს საერთაშორისო ოჯახში, გახდეს მისი ლოიალური და ღირსეული წევრი.

არ უნდა დავმალოთ, შეიძლება ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებანი გადაგვეღობოს გზაზე, შეიძლება მრავალი მძიმე განსაცდელი გამოვიაროთ. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დაბრკოლებათა გადალახვასაც შევძლებთ. მხოლოდ ქართველ ერს ერთი რამ მუდამ უნდა ახსოვდეს—საგარეო პოლიტიკაში ჩვენ უნდა გვავიწყდებოდეს ყოველივე პარტიული უთანხმოება და ვიყვეთ როგორც ერთი პიროვნება. ყოველი ქართველი, რომელიც მოისურვებდა ამ შემთხვევაში განზე გადგომას და რაიმე განსხვავებულ მოქმედებას, უაღრესად მოღალატე იქნებოდა თავის სამშობლოს წინაშე. შეერთებული, ერთპიროვნად მომქმედი საქართველო უსათუოდ შესძლებს ყოველი დაბრკოლება საერთაშორისო სარბიელზე დასძლიოს და განამტკიცოს თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა.

პ. სურგულაძე.

მტრები და მეგობრები

ჩვენი დედა-ქალაქი პირდაპირ იხრჩობა რუსულ-სომხურ გამოცემებში. მრავალია ყოველდღიური გაზეთი, არის რამდენიმე ყოველკვირეულიც. ყოველ დღე რამდენიმე დეპეშაც გამოდის რუსულად თუ რუსულ-სომხურად, რომლებშიაც ყოვლად ფანტასტიური ამბები იბეჭდება, ამბები ტენდენციურად შეთხზული, სენსაციის და შლეგვარების გამომწვევი. ყველაფერი და ყოველივე ამ რუსულ-სომხურ პრესაში მიმართულია ერთი მიზნისკენ, ერთ საქმეს ემსახურებიან, ერთის იმედით სცხოვრობენ. ნამდვილი „ანტანტია“ თბილისის რუსობას და სომხობას შორის როგორც მიზნისა, მეთოდისა და პრაქტიკულ ღონისძიების მხრივ. რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, არც ერთი მეგობრული და გულწრფელი ნოტა არ გასმულა ამ გამოცემებში საქართველოსა და მის დამოუკიდებლობისადმი. იქიდან გამოდიოდა, შეუხავებელი ბრაზი, მტრობა და დაქადნება:—დრო ჩვენც დაგვიდგება და მაშინ ვნახავთ თუ რა „ბიჭია“ ეს თქვენი საქართველო! დრო მოვა, მოღალატეების პასუხისგების დრო, ღვარძლით გაიძახიან და კბილებს აწკარუნებენ. რამდენიმე აქტიურად მომქმედი კალმოსანი, ამ გამოცემებს იდეურად რომ ხელმძღვანელობს, ჩვენდა სამტროდ თავთავის ეროვნების პასიურ მასსას რაზმავს.

სომხეთის იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოქმედება სომხეთის სატახტო ქალაქსა, ერივანში კი არ სწარმოებს, არამედ აქ თბილისში, საქართველოს დედა-ქალაქში. რუსეთის გამეფების მოტრფიალე ამიერ-კავკასიის რუსობის ცენტრი და მათი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოქმედების სათავეც თბილისია. თბილისში ბევრი ასაფეთქებელი მასალაა, როგორც პერსონალურად ისე მატერიულად. ადვილია აზრთა და გრძნობათა მღელვარების გამოწვევა. თავი და თავია თბილისის აფეთქება. იციან რომ თბილისის დაცემა საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობაა. თბილისი ერთად ერთი სტრატეგიული პუნქტია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას კამანდრობს, და მეფისის დიდებით და მძლავრობით სხვადან თბილისში მტრულად-განწყობილ რუსობისა და სომხობის იდეოლოგიური გენერლები და ყოველ ცისმარე დილა ახალ-ახალ ნაღმებს თავიანთ ეროვნულ მასაში გადისვრიან. ებრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობას, ებრძვიან საქართველოს მთავრობას, ებრძვიან ყველა იმათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას მეგობრობს, ხელს უწყობს და ამაგრებს. ვერ ინელებენ განსაკუთრებით გერმანელებს. ხედავენ კარგათ რომ საქართველოში გერმანელების შემოსვლა ერთი დიდი ფაქტორთაგანი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის აღმოცენებისა და მის განმტკიცებისათვის. იციან კარგათ, გერმანელები რომ არა, დამოუკიდებლათ გამოცხადებული და ჯერ კიდევ მოუწყობელი საქართველო მსხვერპლი გახდებოდა პოლიტიკაში მუდამ გაურკვეველის და ისტორიულის გაკვეთილებით გაუსწორებელს ოსმალეთისა. კარგათ ესმით რომ საქართველოს წარსდგომა მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი პერსონისა უფრო კატეგორიულად აცკვეთს რუსეთის ხელახალი შემოსვლისა შესაძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებლობას საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, მაშინ როდესაც ოსმალეთის დაპყრობითი ბატონობა მთელს კავკასიაზია—რაც აუცილებელი იქნებოდა ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ყოვლად მიუღებელი ფაქტიური ვითარება იქნებოდა სამშვიდობო კონფერენციისათვის და რომ აუცილებლად დაისმებოდა საკითხი ამ ფაქტიური ვითარების შეცვლა-გადასინჯვისა და მაშინ ამა თუ იმ სახით რუსეთის კვლავ შემოყვანა კავკასია—ამიერკავკასიაში უფრო შესაძლებელი გახდებოდა, რაც საბოლოო ანგარიშში არც იმავე ოსმალეთისთვის იქნებოდა სახეირო, და რაც გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზნებთან სრულებით არ არის შეთანხმებული. იციან ეს. და ამიტომაც ილაშქრებენ გერმანიის წინააღმდეგ. ხარბად ეტანებიან ტენდენციურ ხმებს გერმანიის შესახებ, იგონავენ და ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს. გერმანიის შემოყვანისთვის ჩვენს მთავრობას ინტრიგებს უგებენ და ხალხში მის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან. იციან ვისაც და რასაც ემიზნებენ! მაგრამ ჩვენი ხალხი გამოირკვა, ის ხედავს თავის მეგობრებს და მტრებს. შეცდომაში ვერ შეიყვანთ. რაც შეეხება კულტურულ—პოლიტიკურად ხელმძღვანელ საქართველოს, იგი გრძნობის იმ სიღრმით და რწმენის იმ სიმტკიცით აფასებს გერმანიის მეგობრობას, რა გრძნობის სიღრმითა და რწმენის სიმტკიცითა თავის სამშობლოს დამოუკიდებულებას ემსხვერპლება და ადიდებს. ამგვარივე გრძნობით გაიმსჭვალება საქართველო ყველა იმ სახელმწიფოსადმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოვა, და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას დაინდობს და უმეგობრებს. საქართველოს დღევანდელ ვითარებაში ამ როლს გერმანია თამაშობს და ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე ისე მუშაობისა და პრესა აგიტაციის წარმოება რომელიც ილაშქრებს გერმანელების აქ ყოფნის წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ რომ მას საქართველოს დამოუკიდებლობა ვერ მოუნელებია და მის საჩქარო დომხობას ესწრაფვის.

მთავრობამ ეს ბუდეები უნდა დაშალოს.

სპირიდონ კედია.

მთავრობის წრეებში

პარლამენტში მიღებულ კანონის თანახმად, იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელსაც ევალება შეჰკრიფოს მთავრობის განკარგულებანი და კანონები რესპუბლიკისთვის საერთო მნიშვნელობის ხასიათისა.

—

იუსტიციის მინისტრის შეკითხვაზედ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა იუსტიციის სამინისტროს, რომ საზრობო სამმართველოები უკვე არჩეულნი არიან: სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნულ მაზრების საერობო სამმართველოებს მიწერილებანი დაუგზავნა, რომ საჩქაროდ შეუდგნენ თავიანთ რაიონებში მომრიგებელ და საპატიო მოსამართლეთა არჩევას.

—

იუსტიციის მინისტრის განკარგულებით თბილისის სამოსამართლო პალატამ ადერბეიჯანის წარმომადგენელს გადასცა განჯის და ბაქოს საოლქო სასამართლოთა საქმეები.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გ. გველესიანის თავმჯდომარეობით შესდგა კომისიის კრება, რომელსაც დავალებული აქვს, სასწრაფოდ შეჰკრიბოს და შეიმუშაოს სამართლის ქართული ტერმინოლოგია, რაც უნდა დაიბეჭდოს და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს სამოსამართლო დაწესებულებებს. აღნიშნულ კომისიაში მიწვეულნი არიან ქართული ენის კარგი მცოდნენი.

—

მიწადმოქმედების სამინისტროს საბჭომ საბოლოოდ შეიმუშავა კანონ-პროექტი მიწის ფონდის განაწილების შესახებ. საბჭო შესაძლებლად სცნობს დასტოვოს 1918 წლის მარტის 3-ს კანონის მიერ აღიარებული ნორმა. კანონ-პროექტის საბოლოო რედაქციისთვის აირჩიეს კომისია, რომელშიაც შედიან: ლ. გ. ასათიანი, ს. ს. კონი და ს. ნ. ტიმოფეევი.

ოსმალეთის ახალი კურსი

ბულგარეთის გადადგომამ და ფრანგ-ინგლისელი ჯარის მიერ სოფიის დაჭერამ ოსმალეთის პოლიტიკაზე დიდი გავლენა მოახდინა. თალაათ-ფაშისა და ენვერ-ფაშის გერმანოფილური კაბინეტი დაეცა და მის მაგივრად შესდგა ანგლოფილური სამინისტრო, რომელშიც გენერალ იზეტ-ფაშას დიდი ვეზირის თანამდებობა უჭირავს, ბერლინის ყოფილ ელჩს რიფაატ-ფაშას საგარეო საქმეთა მინისტრისა, ხოლო საიდ ჰალიმ-ფაშა სამხედრო მინისტრის. ძველი კაბინეტიდან დარჩა მხოლოდ ფინანსთა მინისტრი, ებრაელი—ჯავიდ-ბეი. ახალმა მთავრობამ შეთანხმების სახელმწიფოებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ამის გამო კონსტანტინოპოლის გაზეთი „ჟურნალ დორიანტი“ სწერს: „ზავი ჩქარის ნაბიჯით ახლოვდება. ახლა უმთავრესად ერთი საკითხი გვაფიქრებს: რა ადგილს მიანიჭებენ კონტინენტის ერებს შორის ოსმალთა იმპერიას. იყოლიებენ აღრინდებულად მტრულად განწყობილს და შინაურ საქმეებში ჩასარევად განმზადებულს ევროპის მათრახის ქვეშ? ექნება ოსმალეთს მუდამ დანაწილებისა, კონსტანტინოპოლის დაკარგვისა და კონიაში დაბრუნების შიში? თუ მას შეძლებას მისცემენ თავისუფლად ამოისუნთქოს მზის ქვეშ? ინგლისი და საფრანგეთი უეჭველია ბევრს მოიგებენ თუ კარგად დაფიქრდებიან და ისე აირჩევენ თავიანთი ყოფაქცევის მიმართულებას“.

გაზეთი იხსენებს აგრეთვე ტრადიციულ მეგობრობას ოსმალეთსა და ინგლის—საფრანგეთს შორის, რასაც ავსტრია ჰუნგარეთისა და იტალიის მიერ მიყენებულ უსიამოვნობას უპირდაპირებს: სახელდობ ბოსნია ჰერცეგოვინისა და ტრიპოლისის ანექსიას. ბოლოს ის აცხადებს, რომ ოსმალეთი მზათ არის ვილსონის „ხალხთა ლიგის“ იდეა მიიღოს. „ოსმალეთმა შეიძლება თავისი ბედი ეროვნებათა ტრიბუნალს გადასცეს. განა მისთვის სხვა წონასა და სხვა ზომასა იხმარენ? დაიცავს თუ არა ოსმალეთსაც ის პრინციპი, რომელიც სხვა სახელმწიფოებისთვის იქნება მიღებული?“

ადვილად მოდრკა ბრწყინვალე პორტა. ახალგაზრდა ოსმალოთა პარტიის ავანტიურისტები გუშინ კიდევ მთელი კავკასიის, ჩრდილო სპარსეთი და შუა აზიის დაპყრობას ოცნებობდნენ. დღეს ლიბერალური სამინისტრო და პრესსა კონსტანტინეპოლის დაკარგვის შიშით თრთის. ბაღდადისა, დამასკოსა და ერუსალიმის დაკარგვას კი ოსმალეთი ალბად საბოლოოდ შეურიგდა. უამისოდ ინგლისი ლაპარაკსაც არ დაუწყებდა.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **რადიოსადგურის გახსნა ფოთში.** საქართველოს რესპუბლიკის რადიოსადგურების ინსპექტორმა აცნობა მთავრობას, რომ ღვინობისთვის 3 ფოთში მოწყობილია რადიოსადგური, რომელშიც უკვე გაიმართა ურთი ერთობა სტამბოლის, ოდესის, კერჩის, ნიკოლაევის და ბერლინის რადიოსადგურებთან.

◆ **სომხებისთვის ბონების მიცემის საკითხი.** სომეხთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრს მიჰმართა განცხადებით, რომ სახელმწიფო ბანკმა უარი უთხრა სომეხთა ფინანსიურ წარმომადგენელს სომხეთის რესპუბლიკისათვის საჭირო ბონების მიცემაზე.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად ფინანსთა მინისტრს დავალებული აქვს, არ მისცეს სომხეთის წარმომადგენელს ბონები, მანამდე, სანამდე ერევნიდან საქართველოს მთავრობის მიერ ღვინობისთვის 23 გაგზავნილ ნოტის დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს საქართველო სომხეთის უთანხმოების შესახებ.

◆ **კონცერტი.** ქართული სამუსიკო საზოგადოება, პარასკევს, 1 ნოემბერს, კონსერვატორიის დარბაზში ჰმართავს საყურადღებო კონცერტს. სალამო შესდგება განსაკუთრებით გერმანულ მუსიკისაგან,

◆ **აფთიაქართა დადგენილება.** 26 ღვინობისთვეს თფილისის მეაფთიაქეთა საზოგადო კრებამ დაადგინა: რადგანაც მთავრობა არ ამტკიცებს დანიშნულ ახალ ნიხრს, რომელიც მთავრობისა და კომისიისაგან არის შედგენილი, ხოლო ძველი ნიხრით არც წამლების მასალის შეძენა და არც მოსამსახურეების ჯამაგირების დაკმაყოფილება არ შეიძლება. და როდესაც მთელი ქალაქი მოდებულია ეპიდემიური ავათმყოფობით ყოველივე პასუხის მგებლობას თავიდან იშორებს როგორც მთავრობის და კავშირის, ისე ავათმყოფთა და საზოგადოების წინაშე.

—

რედაქცია სთხოვს პატივცემულ ამხანაგებს და ჩვენ [illegible] თანამშრომლებს, მოგვაწოდონ კორესპონდენციები; ყურადღება მიაქციონ ფაქტების და მოვლენების აღნუსხვას, ხოლო პირადობას ნუ შეეხებიან.

სათბობი მასალა.

გზათა სამინისტროს განკარგულებაში მოვიდა 40 ვაგონი ნავთი. აქედან 34 ვაგონი რკინისგზებს მოხმარდება, ხოლო დანარჩენი 6 ვაგონი ქალაქის თვითმართველობისა და თბილისის რაიონის მექარხნეთა კავშირის შორის განაწილდება.

ალავერდიდან მოვიდა 19 ვაგონი ნავთი. რომელიც ქალაქის თვითმართველობასა და თბილისის რაიონის მექარხნეთა კავშირის შორის გაანაწილებენ.

შუამდგომლობა ნავთის შემოზიდვის შესახებ. სათბობი მასალის სათათბიროს რამდენიმე შუამდგომლობა მოუვიდა ნავთის თავისუფლად შემოზიდვის შესახებ. ერთმა ნება ითხოვა 150.000 ფუთი ნავთის შემოზიდვის შესახებ. სათათბირომ დაადგინა ხელშეკრულება არავისთან ღასდოს ვიდრე არ გამოირკვევოდეს ბაქოდან ნავთის მოზიდვის საკითხის გამორკვევამდე.

გროზნის ნავთი, სათბობი მასალის სათათბირომ ნება დართო კავკავიდან ნავთი თავისუფლად შემოზიდონ.

ნავთი თბილისში. სათბობ მასალის სათათბიროს სთხოვეს, რეკვიზიცია არ უყონ თბილისში უკვე ჩამოზიდულ ნავთს, საკითხი გადაეცა ქალაქის თვითმმართველობას, რომელიც ამ საქმეს განაგებს.

1800 ფუთი ნავთის აღმოჩენა. გორში აღმოაჩინეს 1800 ფუთი ნავთი, რომელიც თბილისის ბაზარზე გაიყიდება.

სათბობი მასალის კომიტეტი. სათბობი მასალის სათათბირომ განიხილა სათბობი მასალის მუდმივი კომიტეტის დაარსების საკითხი. კომიტეტის წესდება. უკვე განიხილეს და მიიღეს მცირე შესწორებით. წესდება ამ დღეებში ფინანსთა მინისტრს გადაეცემა დასამტკიცებლად.

ამიერ-კავკასიის კონფერენცია.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა სომხეთის საქმეთა რწმუნებულს ჯამალიანს, რომ ამა წლის 3 გიორგობისთვეს თბილისში მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა და მთიელთა კავშირის წარმომადგენელნი. კონფერენციის მიზანია ამ რესპუბლიკათა შორის პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა და საზღვრების გამორკვევა ევროპის მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე წარსადგენად.

სომეხთა ლტოლვილები

იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომლითაც საქართველოში მყოფ სომეხლტოლვილთა დასახლება ლორეს რაიონის სომხის სოფლებში აკრძალულია, სომხეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულმა ჯამალიანმა თავისი მთავრობის მონდობილობით საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი განცხადებით მიჰმართა: ბორჩალოს ყოფილ მაზრის ლორეს რაიონს სომხეთის მთავრობა საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობად არა სთვლის და ამისთვის იგი არა სცნობს საქართველოს უფლებას ამ რაიონში სომხების ლტოლვილთა დასახლების აკრძალვის შესახებ და თუ რომ საქართველოს მთავრობა ამ დასახლებას მაინც აკრძალავს, სომხეთის მთავრობა ამას ჩასთვლის ძალადობისა და არა სამართლიანობის აქტად.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

([illegible])

დასავლეთის ასპარეზი

ბერლინი. 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ღირსაღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა. დეინზას სამხრეთით და ლოგემის აღმოსავლეთით და შელდის სამხრეთით არტრთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ენგლ-ფონტენთან და ფამართან ტყვეთ ჩაგვივარდა ინგლისელები.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ტოპონიისთან მტერი შეეცადა უაზის არხზე გადასვლას, მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლო. უაზისა და სერის შუა ჩვენი ჯარი, რომელსაც ორინიისა და ლაფორის შუა სექტორი ეჭირა, ჩვენ დავსწიეთ გიზის დასავლეთ და კრესის აღმოსავლეთ ხაზზე. გიზის სამხრეთით მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს ახალ ხაზზე. მტერმა მრავალი ჯავშნიანი ავტომობილი დაკარგა და ვაიძულეთ უკან დაეხია. სუშის სექტორში, ფრუადმონის და პორემონის შუა ფრანგების განახლებული იერიშები დავამარცხეთ. გუშინ მდინარე ენის დასავლეთით მხოლოდ ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. მდინარე ენის დასავლეთით და რეტელის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეილისთან ჩვენმა ჯარებმა მოიგერია მტრის იერიში. ვუზიერის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მესტრის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

ჰალვიცის ლაშქარი. მაასის აღმოსავლეთ მაღლობებზე კუზენვუას და ორმონტის ტყესთან ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ასპარეზი. ჯარის გადაჯგუფება წესიერად სწარმოებს. რუდნის სამხრეთით, ტოპოლთან, ძლიერი ბრძოლაა. მარნის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

ვენა 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ასპარეზი. ზიებენგემეინდეში მტრის იერიში მოვიგერიეთ. ბრენტის აღმოსავლეთით, 60 კილ. ასპარეზზე ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. ბრენტის და პიავის შუა, მთებში, მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა, რომელიც ჩვენ დავამარცხეთ. ფონტანოსეკკას სამხრეთით ჩვენ დავიბრუნეთ ძველი პოზიციები და მტრის მრავალი ჯარისკაცი წამოვიყვანეთ ტყვეთ. ბრძოლაში თავი ისახელა პოლკებმა: კლაგენფურტის № 7, დებრესტენსკის № 39, მარბურგის № 27, № 49 (დამახინჯებულია), ეგერის № 73, ოსტგალიციის № 120, უნგრეთის № 139, უნგრეთის ბატალიონმა № 17, კროატის № 42, კროატის № 28 და მსროლელმა პოლკმა № 1. თავი ისახელა აგრეთვე არტილერიამ და სამხედრო მფრინავებმა. 27 ოქტ. ღამით მტერი იერიშით წამოვიდა პიავაზე.

კალდობიადენთან მტერმა შესძლო მდინარის მარცხენა ნაპირზე მცირე ტერიტორიის დაჭერა. ბიგოლისონთან და ვიდორთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. მტერმა შესძლო ვიდარის ქვევით მდინარეზე გადასვლა. ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშით შეუტია. სალამოთი ბრძოლა სწარმოებდა სოფელ ორიაგოსა და სერნაგლისთან. იტალიელები შეეცადნენ მონტელოს მთის პირში წინ წაწევას, მაგრამ დავამარცხეთ. ინგლისელებმა პაპადოპოლის მხრიდან მიაღწიოს ტიზეს და ხან-პოლოს. ფალიყვენში ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. პიავაზე დილიდანვე განახლდა ბრძოლა.

ბალკანეთის ასპარეზი. ალბანეთის ნაპირზე ალეზიოსთან ბრძოლაა. ტრინაზე შეტაკება ჰქონდა ჩვენს ჯარს ძლიერ მტერთან. ჩვენი ჯარის უკან დახევა სერბიაში წესიერათ სწარმოებს. გუშინ მტერთან შეტაკება გვქონდა მხოლოდ კრაგუევაცის სამხრეთით.

ბერლინი. სალამოს ცნობა. 28 ოქ. ღირსშესანიშნავი ბრძოლები არ ყოფილა შელდის სამხრეთით უაზის რაიონში. სუშის სექტორთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

სტამბოლი. პალესტინის ასპარეზი. 28 ოქ. ალეპოს ჩრდილოეთით მტერი ჩვენს პოზიციას მცირე ძალებით მოუახლოვდა.

მესოპოტამიის ასპარეზი. ტიგრთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

პარიზი. 28 ოქ. სამხედრო ცნობა. უაზის ფრონტზე გრანდ-ვერდის პირდაპირ გერმანელები ძლიერ იერიშებს აწარმოებდნენ. სამხრეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და რისის სამხრეთ-დასავლეთით რამოდენიმე ადგილი აიღო. პერონის აღმოსავლეთიდგან ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია ბუალე-პარლის ოლქში. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. უაზისა და სერის ფრონტზე ბრძოლაა. შატო-პორსიენის დასავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და მაგრდება სერილის ჩრდილოეთით. დანარჩენ ასპარეზზე არა მომხდარა რა.

ამერიკის ოფიციალური სამხედრო ცნობა. 28 ოქ. ვერდენის ასპარეზზე მეუზის ორივე ნაპირზე, ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. მტრის კონტრ-იერიში ბუა-დე-ვალეს წინააღმდეგ მოვიგერიეთ. ვევრში ჩვენი რაზმი თავს დაესხა მტერს და ტყვეები წამოიყვანა. ცუდი ამინდების მიუხედავათ ჰაეროპლანები მაინც მოქმედებდა. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის ჰაეროპლანი და 1 მზვერავი ბალონი. ყველა ჩვენი ჰაეროპლანი დაბრუნდა.

მოსკოვი. 28 ოქტ. (ც. აღმ. კომ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. (დამახინჯებულია).

პარიზი. იმპერატორ კარლმა დაავალა თავად ლომკოვიცს განსაკუთრებული მისია შეასრულოს პარიზში ჩეხელ დეპუტატების წინაშე.

ვაშინგტონი. 26 ოქტ. ფილადელფიაში ვილსონის „ხალხთა კავშირში“ ევროპის პატარა ერების წარმომადგენელთა კონფერენცია იხსნება.

კონფერენცია ფიქრობს შეიმუშაოს დეკლარაცია დამოუკიდებლობის შესახებ.

ბერლინი, 27 ღვინ. რეიხსტაგში საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა სოლფმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ გერმანიის ჯარს ბრალს სდებენ საერთაშორისო უფლების დარღვევაში და სიმხეცეს ჩადენაში. მთავრობის სოციალისტი ნოსკემ გაილაშქრა „დამოუკიდებელთა“ წინააღმდეგ და სთქვა, რომ მთავრობის სოციალისტებს სურთ გერმანიის პროლეტარიტს არსებობა შეუნარჩუნონ; გერმანიის კოლონიების დათმობა კი უსამართლო ზავის დამყარებას ნიშნავს. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ტრიმბორნმა სთქვა, რომ მთავრობის პროპაგანდა ცენზურის და საალყო წესების შესახებ უსათუოდ განხორციელდება. დეპუტატი შტალი უნდა გადადგეს, რომ ამომრჩევლებმა გადაწყვიტონ: ვის გადაეცეს მანდატი შტატს თუ ლიბკნეხტს. (შემდეგ დამახინჯებულია), წაიკითხა ვილგელმის წერილი რომონოვისადმი მიწერილი, „კომუნაში“ გამოქვეყნებული და ბოლოს დამოუკიდებელ პარტიის სახელით მოუწოდა საერთაშორისო პროლეტარიატს თავის ხელში აიღოს ზავის საქმე.

ბერლინი. 27 ოქტ. გერმანიის სამხედრო საბჭომ განიხილა ვილსონის ნოტა და დასვა კითხვა როგორ დაიცვან და უშველონ იმპერატორს, ფიქრობენ, რომ ვილსონი მოითხოვს გაუქმდეს იმპერატორის უფლება, როგორც ჯარის უმაღლეს სარდლის.

პეტროგრადი, 27 ღვ. ფინლიანდიიდან მოსული ცნობით სვინხუდის კაბინეტი გადადგომას აპირებს. აპირებენ კოალიციონურ მთავრობის შედგენას.

სტოკჰოლმი, 27 ღვ. შვეციის ბურჟუაზიული პრესა ბოლშევიკების წინააღმდეგ წერას განაგრძობს. რადგან გრძნობს, რომ ბოლშევიზმი მთელი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

მოსკოვი. 28 ღვ. გერმანიის პრესა ვილსონის ნოტის შესახებ: „ბერლინიერ ტაგენბლატი“ მოაგონებს ვილსონს, რომ მის მიერ აღიარებული პრინციპების თანახმად აკრძალულია სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა. გაზეთები შიშს გამოსთქვამენ ბოლშევიზმის გაძლიერების გამო. „ფორვერტსი“ ვერ ბედავს კაიზერის გადადგომა მოითხოვოს. ვილსონი ცდება, თუ ფიქრობს იმას, რომ გერმანიის ყოფილ მმართველებს გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლიათ. გამოსთქვამენ შიშს, რომ ზავის მოლაპარაკების დროს ვილსონის პროგრამით არავინ იხელმძღვანელებს და გამარჯვებულთ მადა გაეხსნებათ. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს: „ხალხს მოსწყინდა ძველი რეჟიმი“ (გადამახინჯებული და გამოტოვებულია). მიუნხენში დამოუკიდ. პარტიის კანდიდატს კურტ ისლერს ოვაციით შეეგებენ. წარმოადგინეს მოთხოვნილება დაუყონებლივ გამოცხადდეს გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკა, რომელშიც გერმანიის ავსტრიაც უნდა შევიდეს. ასეთი რესპუბლიკა, ლიბკნეხტით სათავეში, 24 საათის განმავლობაში მიაღწევს ზავს.

ქალაქის საბჭოში

ღვინობისთვის 28-ს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარე ლომთათიძე საჭიროდ სცნობს მოახსენოს კრებას დაწვრილებითი ცნობები ბორჩალოს ამბების შესახებ. ის კითხულობს ოფიციალურ საბუთებს, საიდანაც სჩანს, რომ სომხის ჯარებს გადმოულახავს ჩვენი საზღვრები და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ყოველივე ღონისძიება იხმარა რომ საქმე მშვიდობიანის გზით მორიგებულიყო, შეტაკება მაინც მოხდა და სისხლიც დაიღვარა. ამ ჟამად სომხის ჯარმა დაკავებული ადგილები დასცალა და ინციდენტი შეიძლება დასრულებულად ჩავთვალოთ. გენერალ წულუკიძესთან, რომელიც ჩვენი ჯარების სარდალია ბორჩალოში, მოვიდა სომხის ჯარის წარმომადგენელი პოლკ. კოროლკოვი და გადასცა სომხის მთავრობის თანხმობა რომ სროლა შესწყდეს და საქმე მშვიდობიანის წესით დასრულდეს.

ხმ. იაკჯიანი (დაშნაკ.) გამოსთქვამს დიდ სიხარულს, რომ უთანხმოებას ბოლო მოეღო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც სომხისა და ქართველ დემოკრატიას ყოველთვის შეუძლია მშვიდობიანის წესით საქმე გაათავოს. სადავო არაფერი აქვთ, და ომს არას-დროს არ დაიწყებენ. დიდად მოხარული ვართ, რომ კონფლიქტი დასრულდა.

ხმ. გოთუა. სიხარულით ეგებება კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებას, რადგანაც მხოლოდ ქართველების და სომხების მტრებს უნდათ წაჰკიდონ ორი მეზობელი ხალხი. საქართველოს რესპუბლიკამ თავისუფლების პირველ დღესვე გამოაცხადა მუდმივი ნეიტრალიტეტი და ამ ნეიტრალიტეტს იცავს ის სომხების შესახებაც. სომხებმა პირველმა გადმოლახეს ჩვენი საზღვარი და ჩვენი ჯარიც იძულებული იყო, დაეცვა საქართველოს ხელუხლებლობა. სრულიად საქართველოს ხალხი, დემოკრატია ასეთ საკითხებში მუდამ იქნება ერთსულოვანი, ის არავის გააქელვინებს თავის საზღვრებს, მაგრამ მუდამ იქნება მშვიდობიანობის მომხრე.

შემდეგ ის შეეხო საქართველოს სომხებს და ურჩია, ყოველივე ღონისძიება იხმარონ, რომ კონფლიქტებს ერიდონ და თავის მოძმეებზედ გავლენა იქონიონ. მან გამოსთქვა გაკვირვება, რომ სომხებსა და ქართველებს შორის მოსაშვალედ გამოჩნდა ცნობილი პროვოკატორი პოლკ. კოროლკოვი, რომელმაც მოაწყო აჯანყება ახბულახში, გაძარცვა ქართველი პოლკის კაზარმები და საქართველოს მთავრობა მას დაეძებს, როგორც აჯანყების მეთაურს. არც საქართველო და არც სომხეთი არ საჭიროებს, რომ მოსაშუალეებად ჩავრიოთ უცხო პირი და ისიც პროვოკატორი. ასეთი მოქმედება სასტიკად უნდა დაიგმოს.

თავმჯდ. ლომთათიძე აცხადებს, რომ პოლკ. კოროლკოვი ახბულახში აჯანყებას მეთაური იყო, მაგრამ სომხეთის დელეგატი პოლკ. კოროლკოვი ის პოლკ. კოროლკოვია, თუ არა ოფიციალურად არ ვიცით.

დაშნაკცაკანების წარმომადგენლებმა ამაზედ არაფერი პასუხი გასცეს.

საბჭომ მიიღო ბ. რუხაძის წინადადება, რომ სიამოვნებით მოისმინა კრებამ თავმჯდომარის განცხადება და გადავიდა მორიგ საკითხზედ.

ბოლშევიკები და ზავი

„კურსკაია პრავდას“ გადმოცემით ახლად დაარსებული „ე. ტ.“ თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რანაირ პოზიციას დაიჭერს საბჭოს მთავრობა თუ საერთაშორისო ზავის მოლოდინი განხორციელდა, სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა უპასუხა: ჩვენ შეურიგებელ პოზიციას დავადგებით და ყველაფერს ჩავიდენთ რათა ხელი შევუშალოთ ამ საერთო იმპერიალისტურ შეთქმულებას საბჭოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენ სრულიად გარკვეულ ანგარიშს ვაძლევთ ჩვენს თავს იმაში, რომ თუ ცენტრალ სახელმწიფოთა და ჩვენს ყოფილ მოკავშირეთა შორის განზრახული ზავი შეიკრა, ეს ზავი შეიკვრება არა მარტო რუსეთის ეკონომიურ და ტერიტორიალურ ინტერესებზე, მისივე უმთავრესი მიზანი იქნება პროლეტარიატის ხელმწიფობის მოსპობა და განადგურება. ეს უკანასკნელი ორივე მხარეს ძალიან აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში თუ ზავი მაინცა და მაინც შეიკრა ჩვენ იარაღით ხელში სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას გამოუცხადებთ.

რედაქტორი გირონტი ქიქოძე.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 1.